ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები
არასტანდარტული საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის ხელშეკრულება
#000000000000

თარიღი -----

სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთი
სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
სადეპოზიტო სერტიფიკატის წლიური საპროცენტო განაკვეთი:
სადეპოზიტო სერტიფიკატის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:

ფინანსური ხარჯები
სადეპოზიტო სერტიფიკატის განაღდების საკომისიო -
სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისების საკომისიო -
სადეპოზიტო სერტიფიკატის გამოსყიდვის საკომისიო -

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია
სერტიფიკატის ტიპი: არასტანდარტული საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატი
სერტიფიკატის ვალუტა:
სერტიფიკატის თანხა:
სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება:
სერტიფიკატის რაოდენობა:
სერტიფიკატის ვადიანობა:
სერტიფიკატის გამოთხოვის პირობა: ბანკი უფლებამოსილია, [ვადა], თავისი შეხედულებისამებრ მოსთხოვს კლიენტს სერტიფიკატის ვადაზე ადრე გამოთხოვა, რა დროსაც კლიენტი ვალდებულია დაუბრუნოს ბანკს სერტიფიკატი

დასაშვებია სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისება, ასევე, კლიენტის მომართვის და ბანკის თანხმობის შემთხვევაში, დასაშვებია სერტიფიკატის ვადაზე ადრე გამოსყიდვაც.

თქვენი დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში.

აღნიშნული სერტიფიკატი არის არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატი და მასზე არ ვრცელდება კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების მოთხოვნები.

ბანკი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, მათ შორის, საპროცენტო განაკვეთი და ნებისმიერი სახის საკომისიო. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებების შესახებ, ცვლილებებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში, გარდა კლიენტის სასარგებლოდ განხორციელებული ცვლილებისა, ცვლილებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე, კლიენტის ინფორმირება მოხდება ინტერნეტბანკის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, შეტყობინების გაგზავნის გზით. ასევე, შესაძლებელია კლიენტის ინფორმირება როგორც წერილობით, ასევე სხვა ტექნიკური საშუალებით (მაგ.: მოკლე ტექსტური შეტყობინება და ა.შ.).

კლიენტი ბანკი

--- ---

მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით მისამართზე: customercare@pashabank.ge.

უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!
ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს.
ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული სადეპოზიტო სერტიფიკატის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: %

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

კლიენტი	ბანკი
---	---

არასტანდარტული საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატის ხელშეკრულება #0000000000000000

ქ. ---------- **თარიღი:00000000**

ხელშეკრულების მხარეები:

ერთი მხრივ, **სს „პაშა ბანკი საქართველო“** (ს/ნ 404433671, მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N37მ, 0179, (032)2 265 000, info@pashabank.ge)(შემდგომში - „ბანკი“) წარმოდგენილი სახელი/გვარი-ის (პ/ნ ----------) მიერ და მეორე მხრივ, იურიდიული პირის დასახელება (ს/ნ ----------, იურიდიული მის.:----------, ფაქტობრივი მის.:----------, ტელ.: ---------- ელ.ფოსტა: ----------)(შემდგომში - „კლიენტი/სერტიფიკატის მფლობელი“) წარმოდგენილის სახელი/გვარი-ს (პ/ნ ----------) მიერ (მინდობილობა ----------), **ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:**

1. <u>ხელშეკრულების საგანი</u>

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ბანკი კლიენტს მფლობელობაში გადასცემს სადეპოზიტო სერტიფიკატს, ხოლო კლიენტი იხდის სადეპოზიტო სერტიფიკატის თანხას, რომელსაც ბანკი დაარიცხავს საპროცენტო სარგებელს. სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადის გასვლის შემდეგ, ბანკი კლიენტს დაუბრუნებს სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალურ ღირებულებას, ხოლო საპროცენტო სარგებელს გასცემს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდულობით.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს საბანკო მომსახურების გენერალური ხელშეკრულების (შემდგომში - „გენერალური ხელშეკრულება“) განუყოფელ ნაწილს და მასზე სრულად ვრცელდება გენერალური ხელშეკრულების ყველა პირობა, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დებულებების გათვალისწინებით.

2. <u>სადეპოზიტო სერტიფიკატის ძირითადი პირობები:</u>

2.1. სერტიფიკატის ტიპი: არასტანდარტული საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატი

2.2. სერტიფიკატის თანხა:

2.3. სერტიფიკატის ვალუტა:

2.4. სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება:

2.5. სერტიფიკატის რაოდენობა:

2.6. სერტიფიკატის ვადიანობა:

2.7. სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთი:

2.7.1. წლიური საპროცენტო განაკვეთი:

2.7.1[1] საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული

2.7.2. წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:

2.7.3. ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული სადეპოზიტო სერტიფიკატის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:

2.8. საპროცენტო სარგებლის გაცემის პერიოდულობა:

2.9. ანგარიში, რომლიდანაც გადაირიცხება სერტიფიკატის თანხა:

2.10. ანგარიში, რომელზეც ჩაირიცხება საპროცენტო სარგებელი:

2.11. ანგარიში, რომელზეც ჩაირიცხება სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება:

2.12. ფინანსური ხარჯები:

2.12.1. სადეპოზიტო სერტიფიკატის განაღდების საკომისიო -

2.12.2. სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისების საკომისიო -

2.12.3. სადეპოზიტო სერტიფიკატის გამოსყიდვის საკომისიო -

2.13. სადეპოზიტო სერტიფიკატზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვის წესი:

- წინამდებარე ხელშეკრულების 2.7.1 პუნქტში გათვალისწინებული განაკვეთის მიხედვით, 365 დღეზე გაანგარიშებით.
- საპროცენტო სარგებლის დარიცხვა დაიწყება სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენიდან მეორე დღეს. საპროცენტო სარგებლის დარიცხვა მოხდება ყოველდღიურად, ხოლო დარიცხული საპროცენტო

სარგებლის ასახვა კლიენტის ანგარიშზე მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების 2.8 პუნქტის შესაბამისად.

2.14. დასაშვებია სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისება, ასევე, კლიენტის მომართვის და ბანკის თანხმობის შემთხვევაში, კლიენტთან შეთანხმებულ ფასად, დასაშვებია სერტიფიკატის გამოსყიდვაც, ამასთან, კლიენტი ითვალისწინებს, რომ ბანკი არ არის ვალდებული ვადაზე ადრე გამოისყიდოს სერტიფიკატი.

2.15. სერტიფიკატის გამოთხოვის პირობა: ბანკი უფლებამოსილია, [*ვადა*], თავისი შეხედულებისამებრ მოსთხოვს კლიენტს სერტიფიკატის ვადაზე ადრე გამოთხოვა, რა დროსაც კლიენტი ვალდებულია დაუბრუნოს ბანკს სერტიფიკატი, ბანკი კი კლიენტს გადაუხდის სერტიფიკატის თანხას და მოცემული პერიოდისათვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელს.

3. <u>ხელშეკრულების სხვა პირობები</u>

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება იმავდროულად წარმოადგენს სერტიფიკატის მფლობელის განაცხადს სადეპოზიტო სერტიფიკატის ანგარიშის გახსნის შესახებ, რომლის ხელმოწერითაც სადეპოზიტო სერტიფიკატის მფლობელ ადასტურებს, რომ:

3.1.1. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ბანკის ვებ-გვერდზე www.pashabank.ge განთავსებული საბანკო მომსახურების გენერალური ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, იცნობს და ეთანხმება მას;

3.1.2. თანახმაა, სს "პაშა ბანკი საქართველომ" კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითრების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, მისი პერსონალური მონაცემები;

3.1.3. თუ ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვლება საერთო ეკონომიკური ვითარება, ან გამოიცემა ნორმატიულ/ინდივიდუალური აქტი საფინანსო, საკრედიტო ან სავალუტო პოლიტიკის შეცვლასთან დაკავშირებით ან/და მოხდება სხვა სახის ნორმატივების, მოთხოვნების ან ლიმიტების ცვლილება, რომელიც გავლენას ახდენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ბანკი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, მათ შორის, საპროცენტო განაკვეთი და ნებისმიერი სახის საკომისიო. საპროცენტო განაკვეთის/საკომისიოს ან/და ხელშეკრულების სხვა მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, გარდა კლიენტის სასარგებლოდ განხორციელებული ცვლილებისა, ცვლილებ(ებ)ამდე არანაკლებ ორი თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – ცვლილებ(ებ)ამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე, კლიენტის ინფორმირება მოხდება ინტერნეტბანკის, ელ.ფოსტის, წერილობით, SMS-ით ან/და სხვა ტექნიკური საშუალებით.

3.2. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ დაეთანხმება ბანკის მიერ შეცვლილ პირობებს, მეანაბრე უფლებამოსილია, წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.3 პუნქტით გათვალისწინებული წესით შეტყობინების მიღებიდან ორი ან/და ერთი თვის გასვლამდე (იმის მიხედვით, ცვლილებები შეეხება ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებს, თუ სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდას) ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3.3. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი არ ისარგებლებს ამ ხელშეკრულების 3.2 პუნქტში აღწერილი უფლებით, ბანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება კლიენტის მიერ მიღებულად, ხელშეკრულება კი შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად.

3.4. ბანკის მომსახურებით უკმაყოფილების შემთხვევაში კლიენტს უფლება აქვს მიმართოს ბანკს პრეტენზიით ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ინტერნეტბანკის ან ბანკის ვებ-გვერდის (www.pashabank.ge) საშუალებით. პრეტენზიის ზეპირი ფორმით დასაფიქსირებლად კლიენტს შეუძლია ბანკს მიმართოს ნომერზე - (+995 322) 265 000. პრეტენზიის სტანდარტული წერილობითი ფორმის მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებში. პრეტენზია განიხილება ერთი თვის ვადაში, მომხმარებელთა გამოცდილების მართვის დეპარტამენტის მიერ. შესაბამისი გადაწყვეტილება კლიენტს ეცნობება დაუყოვნებლივ, წერილობით ან ელექტრონულად (კლიენტთან შეთანხმებით და/ან პრეტენზიის დაფიქსირების მეთოდის იდენტურად). პრეტენზიის განხილვის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ ფილიალში და/ან დისტანციურად. პრეტენზიასთან დაკავშირებით კომუნიკაცია ხორციელდება ბანკის ელ-ფოსტის მისამართზე: customercare@pashabank.ge.

3.5. ეროვნულ ვალუტაში მსგავსი პირობების მქონე პროდუქტთან დაკავშირებულ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ ბანკის ვებ-გვერდზე www.pashabank.ge

3.6. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ:

კლიენტი	ბანკი
---	---

3.6.1 „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2022 წლის პირველი იანვრიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 15,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე.
დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge.
3.7 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, თუ დავის საგნის ჯამური ღირებულება ნაკლებია 8 000 (რვა ათასი) ლარზე ან მეტია 200 000 (ორასი ათასი) ლარზე ან ეკვივალენტზე უცხოურ ვალუტაში (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად) განსახილველად და გადასაწყვეტად გადაცემა სასამართლოს, სასამართლოს მიერ ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268–ე მუხლის 1[1] ნაწილის შესაბამისად, ხოლო, თუ დავის საგნის ჯამური ღირებულება მეტია 8 000 (რვა ათასი) ლარზე და ნაკლებია 200 000 (ორასი ათასი) ლარზე (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად) - განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა არბიტრაჟს - შპს „დავების განმხილველ ცენტრს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204547348).
3.8 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

3 მხარეთა ხელმოწერები

სერტიფიკატის მფლობელი/კლიენტი ბანკი

--- ---

კლიენტი ბანკი

--- ---